## ანგარიში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით სოცალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსებისათვის გეგმით დამტკიცებულია 500 ათასი ლარი, ხარჯმა პირველი აპრილის მდგომარეობით შეადგინა 104.9 ათასი ლარი. აღნიშნული თანხები მოხმარდა ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური და ჯანმრთელობის პროგრამების დაფინანსებას, რომლის ფარგლებში დახმარება გაეწია მძიმე საცხოვრებელ პირობებში, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ერთ ოჯახს , დახმარების თანხამ 4000 ლარი შეადგინა, ხოლო ბინის ქირის ხარჯმა - 1760 ლარი. წინა წლის ვალდებულებების დასაფარად გაიხარჯა 1300 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარებით ისარგებლა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულმა იძულებით გადაადგილებულმა ორმა პირმა, თითოეულმა 200 ლარით. საანგარიშო პერიოდში ყოველთვიური ფულადი დახმარების სახით 6 400 ლარი გადაერიცხა საქართველოს თავისუფლების და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ ოჯახებს, ხოლო სამედიცინო თანადაფინანსებისათვის გაწეულმა ხარჯმა 43,910 ლარი შეადგინა. ვალდებულებებისათვის კი 13, 216 ლარი გაიხარჯა. ონკოდაავადებულმა 50 მოქალაქემ ისარგებლა 12 106 ლარით სამედიცინო მომსახურებაზე. ,,C" ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტის განსაზღვრისათვის დახმარება გაეწია 8 ბენეფიციარს, რომლის ხარჯმა 1334 ლარი შეადგინა. შშმ პირების სტაციონარული სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების შეძენისათვის გაწეული იქნა 5534 ლარის დახმარება. პროგრამის შესაბამისად ფულადი დახმარებით ისარგებლა თირკმლის უკმარისობით დაავადებულმა რვა ბენეფიციარმა, რომელთაც პირად საბანკო ანგარიშზე 3 360 ლარი ჩაერიცხათ (თითოეულს 140 ლ). დაკმაყოფილდა გულისთანდაყოლილი პათოლოგიითა და ეპილეფსიით დაავადებული ორო ბენეფიციარის მოთხოვნა, თანხა გადაერიცხა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას, თითოეულზე 200 ლარის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში ბავშვებისა და ოჯახების სოციალური დაცვისათვის გაწეული იქნა 25 240 ლარის დახმარება, ვალდებულებების კლება 7 080 ლარი, ამ მხრივ ფულადი ხარჯები მოხმარდა მრავალშვილიან ოჯახებს (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 30 000-ის ჩათვლითაა ან 65 001-დან 150 000-მდეა) 24 ოჯახს გაეწია დახმარება 7 800 ლარის ოდენობით. ახალშობილთა 30 ოჯახს - 6 000ლარი, დედ-მამით ობოლი ბავშვების ერთ ოჯახს გაეწია დახმარება 600 ლარი. 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირებისათვის კომუნალური მომსახურების დახმარებისათვის - 5 130 ლარი,

ფინანსური დახმარება გაეწია განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მქონე ოთხი ბენეფიციარის ოჯახს, დახმარების თანხამ შეადგინა 320 ლარი. ხანდაზმულ (100 და მეტი ასაკის ) სამ პირს საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხა 300 ლარი, სულ 900 ლარი. სარიტუალო მომსახურებისთვის გაიხარჯა 500 ლარი.

პროგრამით გათვალისწინებული ყოველთვიური დახმარების საკითხის გადაწყვეტა ხდება სამსახურის მიერ ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე, დახმარების მიმღებთა ოჯახებში (დემოგრაფიული, ასაკი და სხვა) ცვლილების მიხედვით. ბენეფიციართა სიების ( დახმარების დანიშვნა, შეწყვეტა, აღდგენა, გაუქმება) დაზუსტება, რომლის მიხედვითაც მზადდება ბრძანების პროექტი შემდგომ თვეში დახმარების მიმღებთა დაფინანსებისათვის.